რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი 1917

ერთობა

ფასი 15 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ფასდება 15 კ. [illegible] 11 მან. [illegible]

[illegible] № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62

№ 180 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა. № 180

დამფუძნებელი კრების სადეპუტატო კანდიდატები სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა

კავკასიის ფრონტის საარჩევნო ოლქიდან.

სია № 1

1) **გეგეჭკორი,** ევგენი პეტრეს ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის, კავკასიის ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. თფილისი—[illegible].
2) **[illegible],** [illegible] ნიკოლოზის ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. კავკასიის ჯარების [illegible] თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **[illegible],** [illegible] ძე, [illegible] რაზმის წარმომადგენელი [illegible] აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **[illegible],** პავლე იონას ძე, ნაფიცი ვექილი, თფილისი—ოლღას ქუჩა № 13.
5) **[illegible],** აბრამ ლაზარეს ძე, ბათუმის გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
6) **[illegible],** ალექსი [illegible] ძე, ნაფიცი ვექილი, ყოფილი კავკასიის სამხედრო ცენზურის კომისარი—მოქმედი ჯარი.
7) **[illegible],** ალექსანდრე [illegible] ძე, ტრაპიზონის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი—ტრაპიზონი.
8) **[illegible],** [illegible] ძე, [illegible] კავკასიის სრულიად რუსეთის საერობო კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე—თფილისი.
9) **[illegible],** მიხეილ [illegible] ძე, ჯარისკაცი, კავკასიის ჯარის საბჭოს წევრი—თფილისი, სასახლე.
10) **[illegible],** [illegible] ძე, ყოფ. კავკ. ჯარის საბჭოს წევრი, თფილისი სასახლე.
11) **[illegible],** იზრაილ [illegible] ძე, ჯარისკაცი, მე-491 ქვეითი [illegible] პოლკის კომიტეტის წევრი—მოქმედი ჯარი.
12) **[illegible],** [illegible] ძე, მუშა, ტრაპიზონის აღმ. კომიტ. წევრი—ტრაპიზონი.
13) **[illegible],** [illegible] ძე, ჯარისკაცი, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა [illegible] თანამშრომელი.

კვირას, 29 ოქტომბერს [illegible] (კუკია) წმინდა [illegible] ეკლესიაში [illegible] წლის წირვა და პანაშვიდი [illegible] (ჯარისკაცის)

მოსე [illegible]-ძე პოპლაძის

[illegible] (1—1)

გაიხსნა ახალი

ქართული სრულუფლებიანი გიმნაზია

ორივე სქესის ყმაწვილთათვის

ამთავათ მიიღებიან მოსწავლენი I კლასში და მოსამ. განყოფილებებში.

ფასი სწავლისა I კლასში 200 მან. განყოფილებებში 150 მ.

თხოვნა მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე. [illegible] სასწავლებლის კანცელარიაში.

[illegible] ქუჩა, სახლი [illegible] № 2.

10—5 [illegible]

ამიერ კავკასიის

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრეთა სააქციონერო საზოგადოების

[illegible]

სააფთიაქო საწყობის [illegible] და ფარმაცევტების

[illegible] კრებაზე, რომელიც გაიმართება ქ. ქუთაისში ოქტომბრის 29—31-მდე.

კრებაზე განიხილება საზოგადოების წესდება.

[illegible]

თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი [illegible] კავშირის, რომელიც ხსნის ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში შაქრის საწყობებს.

[illegible] (260 მან. [illegible]; 4 ნაწილი 12 [illegible]) კომიტეტის [illegible]

(1—1) თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

განცხადება

მორიგი სხდომა მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტისა

[illegible] ხუთშაბათ 26 ოქტომბერს [illegible] 7 საათზე.

2—2 [illegible]

პური

ახალი პურის ბარათების დარიგების შესახებ.

[illegible] ახალი პურის ბარათების დარიგება, [illegible] შაქრის ბარათების [illegible] შაქრის ბარათები, [illegible] ახალი პურის ბარათები მიეცემა მხოლოდ შაქრის და პურის ბარათის წარდგენის შემდეგ.

ძველი პურის ბარათებს ვადა გასდის 5 ნოემბერს.

3—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

ნაციონალისტები და ეროვნული საკითხი

ქართველი ნაციონალისტები დიდ ფუსფუსში არიან. ისინი ხედავენ, რომ სხვა და სხვა ერები [illegible] თავისი ცხოვრების მოწყობას, ასეთ გზას არ გაჰყვა ქართველი ხალხი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით თავის ბედს უკავშირებს რუსეთის რევოლუციის გამარჯვებას. და ეს ნაციონალისტებიც სოციალ-დემოკრატიას [illegible] და ყოველი ძალ-ღონით ცდილობენ ქართველი ხალხი [illegible] ნაციონალისტურ გზაზე დააყენონ.

[illegible]

ეს ლოზუნგი. [illegible] ეს რევოლუციის ძირს უთხრის და მის დასამარებას ამზადებს.

[illegible]

დამფუძნებელ კრებამდე [illegible] ნაციონალისტები [illegible] ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის რევოლუცია [illegible] დამფუძნებელი კრება რევოლუციონური დემოკრატიის [illegible] ქართველი ნაციონალისტები. [illegible] ქართველი დემოკრატია [illegible] ჩვენ [illegible], რომ ამ გზას ის არც დღეს გადაუხვევს.

რევოლუციის ექსცესები

[illegible]

რუსეთის რევოლუცია ვერ ასცდა ამ ექსცესებს, ამ ლუმპენპროლეტარიატის თავგასულ გამოსვლებს, რომელიც ყველა წარსულ რევოლუციებს მუდამ თან სდევდა. მიუხედავად გონივრული ზომებისა და შეგნებული მუშათა და რევოლუციონური დემოკრატიის ენერგიული მოქმედებისა,—კონტრ-რევოლუციონური ელემენტები თავიანთ განზრახვებს და ანარქიას ნიადაგს უმზადებენ. [illegible]

[illegible]

[illegible] 1848 წელს, [illegible]

[illegible]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლუციის მთავარი ძალა მის ცენტრალიზაციაშია, [illegible]

[illegible]

რესპუბლიკის დროებითი საბჭო

(შეტ. და ტელ.)

23 ოქტომბრის კრების გაგრძელება.

სკობელევი. [illegible] „27 [illegible]“ [illegible] 14 მარტს [illegible]

[illegible] 1848 წელს [illegible]

[illegible]

პრესა

რუსეთის რევოლუციას ბევრი [illegible] გამოუჩნდა. [illegible]

[illegible] „სახალხო საქმე“.

„რუსეთის [illegible]

[illegible]

საერთაშორისო ომი

რუსეთის ბრძოლის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

ცვლილება არ მომხდარა არც რუმინიის ფრონტზე და არც ბალტიის ზღვაზე.

კავკასიის ფრონტზე მოწინავე რაზმების ბრძოლაა ზოგიერთ ადგილებში რუსის ჯარი მტრის ხანგრებს იკავებს.

საფრანგეთისა და ინგლისის ფრონტზე საერთოდ სიწყნარეა.

იტალია-ავსტრიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

ლის. დანარჩენი სხვა ნაციონალური საკითხები, რომლებიც ამ ომმა წამოაყენა, ან თვით ერებმა, უნდა გადაწყდეს სამშვიდობო კონგრესზე დემოკრატიულ ნიადაგზე. რუსეთის დემოკრატია ამ დაჩაგრულ ერთა ინტერესებისთვის სცდილობს შეინახოს დემოკრატიული რუსეთი სამშვიდობო კონგრესის მოწვევამდე. დასასრულ სკობელევი ლაპარაკობს ნაკაზის შესახებ და ამბობს, რომ მან ერთი სარგებლობა მოიტანა—დღიურ წესრიგში დასვა ზავის საკითხი და ძალაუნებურათ ყველას თავისი აზრი გამოათქმევინა.

აბრამოვიჩი—(ინტერნაციონალისტი) ამტკიცებს, რომ ინტერნაციონალისტების მშრომელ ფრთას მასის ინტერესებისათვის სურთ ომის დაუყოვნებლივ გათავება. რუსეთის პოლიტიკა უნდა იყოს ძლიერი ხალხის პოლიტიკა. ძველმა პოლიტიკამ მთელი ქვეყნის წინაშე აშკარათ დაამტკიცა თავისი სიკოტრე. ხალხს სჯერა, რომ ომი საჩქაროთ გათავდეს შეთანხმების გზით და არა იარაღით, რომ ომის გათავების შემდეგ არ იყვნენ არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი.

პოტრესოვი (მენშევიკი) ამბობს, რომ რესპუბლიკის საბჭომ უნდა დაავალოს მოკავშირეთა კონფერენციაზე წასულ დელეგატს, რომ რუსეთი უარყოფს დაპყრობით პოლიტიკას. რუსეთის დემოკრატია შეადგი თავის განცხადებაში ლაპარაკობდა [illegible] და ზავის შესახებ. ეხლა მოვიდა ძალიან საჭიროა, რომ ასეთი ზავი შევადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვიღებთ ზავს რუსეთის ანგარიშით, რისთვისაც ახალი თაობა წყევლა-კრულვით მოგვიხსენიებს.

შემდეგ ლაპარაკობენ სოროკინი, მარტოვი და სოკოლოვი. მათ შემდეგ ტრიბუნაზე ადის საგარეო საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო. ტრიბუნაზე ასვლისთანავე მარცხნიდან ყვირიან: „გადადექი, გადადექი!“ ტერეშჩენკოს სიტყვას დროებითი მთავრობის ლოჟაში უსმენს მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი.

ტერეშჩენკო პასუხს აძლევს იმ ორატორებს, რომლებმაც მის წინააღმდეგ ილაპარაკეს. აქ სთქვეს—ამბობს ტერეშჩენკო—რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებაში ისეთი პირნი მსახურებენ, როგორიც გარტვიგ-ლანდიზენი, ეგ იგივე სიცრუეა, რომლის შესახებ ლაპარაკი მეტია. შემდეგ ის პასუხს აძლევს იმის შესახებ, თითქოს მას ელჩებისთვის გაეგზავნოს ქაღალდი, რომ ის ემიგრანტები, რომლებიც რუსეთში ბრუნდებიან, პაციფისტები არ გამოდგნენ. ტერეშჩენკო ამტკიცებს, რომ საზოგადოთ ემიგრანტების საქმე ემიგრანტთა კომიტეტის ხელშია, რომელიც თვით სწყვეტს საკითხს, რომელი ემიგრანტის დაბრუნებაა სასურველი და რომლის არა. ერთი ფაქტის უარყოფა არ შეიძლია—ამბობს ტერეშჩენკო—6 მაისს დროებით მთავრობას წარუდგინე წინადადება, რომელიც მან მიიღო. ეს წინადადება არის ის, რომ მე ყველა ჩვენ წარმომადგენლებს საზღვარ-გარეთ მივსწერე, რუსეთში დაბრუნების ნება არ მისცენ იმ ემიგრანტებს, რომლებიც გერმანიაზე წამოსვლას განიზრახავენ. შემდეგ ტერეშჩენკო ეხება საზოგადოთ საგარეო პოლიტიკის მდგომარეობას და ამტკიცებს, რომ საგარეო პოლიტიკას მჭიდრო კავშირი აქვს შინაურ პოლიტიკასთან და ამ უკანასკნელის მდგომარეობას გავლენა აქვს პირველზე.

მინისტრ ტერეშჩენკოს სიტყვის შემდეგ საგარეო პოლიტიკის შესახებ კამათი სწყდება და კრება გადადის იმ კითხვის განხილვაზე, რომ დროებითმა მთავრობამ მოკავშირე სახელმწიფოებს არ შეატყობინა რუსეთში რესპუბლიკური წესწყობილების დამყარება. საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტების შემდეგ კრება გადადის მორიგ საქმეებზე. კრება იხურება.

დეპეშები

(პ. ტ. ს. 25 ოქტომბერი).

გაფიცვის მოლოდინი ინგლისში.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“-ს ცნობით სამხრეთ უელსის მაღაროებში კენჭს უყრიან საკითხს, გამოაცხადონ გაფიცვა თუ არა. გაფიცვას პროტესტის ხასიათი აქვს, რადგან მთავრობამ განიზრახა გაიწვიოს სამხედრო სამსახურში მაღაროს მუშათა ნაწილი. ჯერ-ჯერობით გაფიცვას ხმა მისცა 2735 მუშამ, წინააღმდეგ 1780.

რესპუბლიკის საბჭოში.

პეტროგრადი. პეტროგრადის ნაფიც ვექილთა საზოგადო კრებაზე რესპუბლიკის დროებით საბჭოში აირჩიეს კარაბჩევსკი, ბაზანოვი და ბობრიშჩევ პუშკინი.

ყრილობები.

მინსკი. გაიხსნა გლეხთა დეპუტატების ყრილობა.

მოსკოვი. დასრულდა სრულიად რუსეთის ხელოსანთა მესამე ყრილობა. ყრილობას დაესწრო პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და სხვა პროვინციის დანარჩენ ქალაქებიდან თორმეტ-თორმეტი წარმომადგენელი.

პეტროგრადის სამხედრო რევოლუციონურ კომიტეტის განცხადება.

პეტროგრადი. 23 ოქტომბერს პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციონურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელმაც პეტროგრადის მთელი დემოკრატიულ და პოლიტიკურ წრეების ყურადღება მიიპყრო. კომიტეტი მიმართავს მუშებს, ჯარისკაცებს და პეტროგრადის მცხოვრებთ და უცხადებს, რომ მან სამხედრო ნაწილებში და ქალაქის მნიშვნელოვან ადგილებში დანიშნა კომისრები. ყველა ბრძანება და განკარგულება ამ ნაწილებში სისრულეში უნდა მოიყვანონ, რასაც მას კომისარი დაამტკიცებს. კომისრები, როგორც დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელნი, ხელშეუხებელნი არიან, და კომისრების წინააღმდეგობა დეპუტატთა საბჭოს წინააღმდეგობად ჩაითვლება.

მონოპოლია.

პეტროგრადი. ფინანსთა სამინისტრომ დროებით მთავრობას წარუდგინა პროექტი მახორკაზე, სპიჩკაზე და ყავაზე მონოპოლიის შემოღების შესახებ.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 24 ოქტომბერი. ჩრდილოეთ-დასავლეთის, სამხრეთისა და რუმინიის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან.

კავკასიის ფრონტზე, ქემახის მიმართულებით, ჩვენმა ჯარმა თამადთა რაზმები სანგრებიდან გარეკა. ჩარუქის მიმართულებით, ოგნოტის რაიონში მოწინავე რაზმების შეტაკებაა.

ბალტიის ზღვაზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. 22 ოქტომბერი. მთელ ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. დიქსმუიდის რაიონში გერმანელების პატრულებმა ყუმბარები ჩაყარეს.

პარიზი. 23 ოქტომბერი. ბელგიაში და ელზასის ზემო ნაწილებში საარტილერიო სროლაა. კუსკის ტყის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი. 23 ოქტომბერი. გენერალ ალენბის ცნობით, ბეერშებას ბრძოლის დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 26 ოფიცერი, 2 ბატალიონის უფროსი და 418 ჯარისკაცი.

უკანასკნელი ფოსტა

გერმანელები დასავლეთ ფრონტზე ჩვენს ჯარისკაცებში მხურვალე აგიტაციას ეწევიან ზავის შესახებ. ამ მიზნით მრავლად ავრცელებენ რუსულ ენაზე გამოცემულ ჟურნალს „ნოვოსტის“. გაზეთების გადმოცემით, ჟურნალში არავითარი გადამეტება აღნიშნული არ ქონია. მასალები ისე ყოფილა დაწყობილ-განმარტებული, რომ გამოუცდელი მკითხველი თითონ გამოიტანს ისეთ დასკვნას, რომ აუცილებლად ზავი უნდა იქნას შეკრული, სხვა გამოსავალი აღარ არისო.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით თავისუფლების სესხი განაღდდა 4 მილიარდ 108 მილიონ მანეთისა.

გაზეთები ბევრსა სწერენ პეტროგრადში ბოლშევიკების მოსალოდნელ გამოსვლის შესახებ.

22 ოქტომბერი წყნარად ჩატარდა. მოხდა მრავალრიცხოვანი პატრიოტული მანიფესტაცია ჯვრებითა და ხატებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალული იყო. მანიფესტაცია საღამოს 6 საათზე დამთავრდა.

23 ოქტომბერი შედარებით ჩატარდა. ქუჩებში ხალხი ნაკლებათ გამოვიდა. ნევის პროსპექტზე მუშები და ჯარისკაცები სახელდახელო მიტინგებს ახდენდნენ.

ღამით მოხდა დროებითი მთავრობის დახურული კრება. საერთო მდგომარეობა სერიოზულად სცნეს.

22 ოქტომბერს ტროცკიმ მიმართა პეტროგრადის ჯარებს მოწოდებით—ნუ ასრულებენ ისეთ ბრძანებებს, რომლებიც ხელმოწერილი არ იქნება საბჭოსთან არსებულ სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის მიერო.

დეპუტატთა საბჭოსთან სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის დაარსება მთავრობამ აჯანყების დაწყების ნიშნის მიცემად მიიჩნია, მაგრამ დროებით მთავრობას იმედი აქვს, რომ აჯანყება შეიარაღებული ძალით ჩაქრობილი იქნება.

პეტროგრადის ჯარების ნაწილის წარმომადგენლები დეპუტატთა საბჭოში მივიდნენ და განუცხადეს, სამხედრო სარევოლუციო კომიტეტის განკარგულებას ვემორჩილებითო. ყაზახების წარმომადგენლები არ გამოცხადებულან.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი წინააღმდეგია პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსთან სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის დაარსების. ცენტრალურმა კომიტეტმა დროებით მთავრობას აღუთქვა დახმარება.

საბჭოთა წევრები—სოციალისტ-რევოლუციონერები და გაერთიანებული სოციალდემოკრატები ერთნაირად აფასებენ შექმნილ მდგომარეობას.

ისინი მხარს უჭერენ ცენტრალურ კომიტეტს და დროებითი მთავრობის მიერ გამომუშავებულ ზომების ცხოვრებაში გატარებას.

ფრონტიდან გამოწვეულ იქნა მთავარ სარდლის შტაბის უფროსი გენ. დუხონინი, რომელსაც კერენსკი მთავარ სარდლობას გადასცემს. პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდლათ დანიშნა გენ. ბაგრატუნი.

ყაზახთა კრების საბჭომ ცნობა მიიღო, რომ პეტროგრადისკენ ტყვიის მფრქვევლებით შეიარაღებული ჯარი მოდისო. ყაზახთა ჯარები საბრძოლველათაა მომზადებული.

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოში მოხსენება გააკეთეს საბჭოთა სარევოლუციო კომიტ. შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კომიტეტმა 10 ათასი თოფი დააკავა, რომელიც პეტრო პავლოვის ციხიდან ნოვოჩერკასში ეგზავნებოდა, შეაჩერეს ფრონტიდან დროებით მთავრობის მიერ აჯანყების ჩასაქრობათ გამოწვეული ჯარები და სხ.

„დეპუტატთა საბჭოს უწყებებში“ და „ჯარისკაცთა ხმაში“ დაბეჭდილია პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მენშევიკების ფრაქციის მოწოდება ჯარისკაცთადმი, სადაც ნათქვამია: „თქვენი ქუჩებში გამოსვლა დემოკრატიის რიგებში გააჩაღებს ურთიერთ ომს, რაც ზარალის მეტს არას მოუტანს რევოლუციასა და სოციალიზმის საქმეს. დღეს, ამ საშინელ ხანაში ნურავინ თქვენგანი ნუ უღალატებს რევოლუციას, თითოეულმა თქვენგანმა ყოველი ძალღონე უნდა ახმაროს მასების დასამშვიდებლად, რომელიც აღელვებულია საყოველთაო დემაგოგიური ლოზუნგების წყალობით.

„დელო ნაროდა“ სწერს: „პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს უკვე აღმართული აქვს აჯანყების დროშა. შეშინებულთა ხმები ყველგან სისწრაფით ვრცელდება. მოქალაქენი საომრათ ემზადებიან“.

„ნოვაია ჟიზნი“ გამოსავალს ხედავს დროებით მთავრობის რეორგანიზაციაში.

ახალი ამბები

პური. ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილებით ამ ჟამათ თითო სულს ეძლევა გირვანქის სამი მეოთხედი პური. მაგრამ ზოგიერთები ძალით იტაცებენ ფურნეში 1 გირვანქა პურს. ამის გამო სხვები სავსებით უპუროთ რჩებიან. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ და ქალაქის სასურსათო კომიტეტის მოწოდების თანახმათ ნუ წაიღებენ ზედმეტ პურს, რომ ამით მცხოვრებთა ნაწილი უპუროთ არ დასტოვონ. თუ თვითეული ჩვენგანი დაკმაყოფილდება გირვანქის სამი მეოთხედი პურით, მაშინ პური ყველას ეყოფა.

◆ **რევოლუციონური კომიტეტი.** კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა 24 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა მოეწყოს საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტი, რომლის მიზანია ანარქიას, დარბევას და კონტრ-რევოლუციას წინააღმდეგ ბრძოლა. კომიტეტში შედიან თითო წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატებიდგან, სოციალისტ-რევოლუციონერებიდგან, ს. ფედერალისტებიდგან, დაშნაკ., მუსულმანებისაგან, ბოლშევიკებისაგან, ფრონტის შტაბისაგან, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისაგან, სამხედრო კომისარიატისაგან და ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისაგან, ამიერ კავკასიის რკ. გზათა ცენტრალურ კომიტეტისაგან; კავკასიის ჯარის საბჭოსაგან—3, თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან—3, ორ-ორი წარმომადგენელი კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრისაგან, მუშათა ცენტრისაგან; ქალაქის საბჭოსაგან; კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრისაგან კომიტეტში შედის ცენტრის თავმჯდომარე ამხ. ევგენი გეგეჭკორი.

◆ **ყანების დათესვა.** როგორც კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ, თფილისის გუბერნიაში გლეხები ენერგიულათ შეუდგნენ შემოდგომის პურის დათესვას. პირველი ადგილი ამ მხრივ უჭირავს ახალქალაქის მაზრას, შემდეგ სიღნაღის, გორის და სხ. დიდი ნაკლებობაა სათესლე მასალისა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ ჯერ-ჯერობით დაარიგა მხოლოდ 50 ვაგონი სათესლე ხორბალი. მიღებულია ზომები უზრუნველყონ გლეხები სათესლე მასალით.

◆ **შაბიამანი და გოგირდი.** თფილისის გუბერნიის მეურნეთა და მევენახეთა კომიტეტმა მიიღო 70 ათასი ფუთი შაბიამანი და დიდძალი გოგირდი. ფუთი გაიყიდება დახლოებით 25 მან.

◆ **საექიმო დახმარება.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციამ დაადგინა იყოლიოს ექიმი, რომელიც უფასო დახმარებას აღმოუჩენს სექციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებსა და სექციის მოსამსახურეებს. სექციას განზრახული აქვს აგრეთვე შეუთანხმდეს აფთიაქების პატრონებს, რომ შეღავათიან პირობებში მიიღოს წამლები.

◆ **ავჭალის აუდიტორიაში.** 28 ოქტომბერს გაიმართა საღამო, ამხ. ალ. ლომთათიძემ წაიკითხა ლექცია „დამფუძნებელი კრება და რუსეთის დიდი რევოლუცია“. მეორე განყოფილებაში დადგეს დრამა, „სიცრუე“. თფ. დეპოს მუშა-მოსამსახურეთა გუნდმა ამხ. ვანო დადიანიშვილის ლოტბარობით შეასრულა ახალი რევოლუციონური სიმღერები. დასასრულ ათი წლის ქალმა თამარა რონინაშვილმა წაიკითხა მამა მისის ლექსი ალ. ლომთათიძისადმი მიძღვნილი. წარმოდგენას საზოგადოება ბლომათ დაესწრო და კმაყოფილი დარჩა.

◆ **თვითგასამართლების გარშემო.** შტაბს-კაპიტან ხუციევის თვითგასამართლების საქმე გადაეცა თფილისის გარნიზონის საგანგებო საგამომძიებლო კომისიას.

◆ **ქართული კორპუსის უფროსათ** დაინიშნა თფილისის გარნიზონის უფროსი ამხ. სტ. ახმეტელაშვილი.

◆ **საარჩევნო ფონდი.** თფილისის კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პ. მიიღო ტრამვაის დეპოპარკის მუშებისაგან, მოხელეთაგან და მრეცხავი ქალთაგან შემოწირული ერთი დღის შემოსავალი დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად 1026 მ. 92 კ.

— ამავე მიზნით მე-2 სამილიციო ნაწილის რ. ს. დ. მ. პ. მცირე კოლექტივმა მიიღო ამხ. აბდუშელიშვილისა და მღებრიშვილისაგან მე 8 და მე 31 ლაზარეთებში შეგროვილი 117 მ.

— მე-2 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი მოაგონებს ამ უბანში მცხოვრებ ამხანაგებს დაჩქარებით შემოიტანონ ერთი დღის შემოსავალი დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლად. შემოწირულება მიიღება მცირე კოლექტივის მდივანთან (გოლოვინის პრ. № 40), და ამხ. ს. კვატუჯანცთან (გომანიის ქ. № 1).

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ექიმ ნ. რუხაძის მიერ შედგენილი წიგნი—„მალარია“. წიგნი შეიცავს 70 გვ. დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე მდაბიური ქართული ენით და ღირს 1 მან.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 ს. ამხანაგთა სასამართლოს შენობაში (ბარონის ქ. № 11) დანიშნულია პროპაგანდისტთა და ახალგაზრდა სოციალისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ საბჭოს წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს., დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ“-ში ნ. კაზიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მუშებისა და გლეხების ცხოვრება დასავლეთ ევროპაში“. ლექციის შემდეგ გაიმართება სპექტაკლი.

— დღეს, საღამოს 7 ს., მე-26 ლაზარეთის შენობაში (მიხეილის პრ., გორჩაგიჯანოვის სახლი) დანიშნულია ყველა სავადმყოფოებში მოსამსახურეთა საერთო კრება პროფესიონალურ კავშირის დასაარსებლად. კავშირის წევრებისა და ფონდების მიღება შეიძლება საორგანიზაციო კომისიის წევრთან აბრამიშვილთან მე 40 ლაზარეთში და კომისიის თავმჯდომარე ლანდიასთან მე-11 ლაზარეთში.

დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია მე—5 სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივის წევრთა კრება ხარფუხში მუჯანის სახლის სახელოსნოში.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, ბიჭურის ბანზე, დანიშნულია თფილისის კომიტეტის რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს., სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს., თფილისის კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ. 12) დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის პირველი სამილიციო უბნის რ. ს.-დ. მ. პ. მცირე კოლექტივის და სამილიციო საარჩევნო მცირე კოლექტივების წარმომადგენელთა კრება. (ქუდინის ქუჩა № 8).

— დღეს, საღამოს 8 საათზე, სამოსწავლო ოლქის კომისარიატის ბინაზე (გოლოვინის პროსპ. ოქროვის სახლი) დანიშნულია ქართული პედაგოგიური საბჭოს მორიგი კრება სამოსწავლო გეგმის განსახილველად.

პროვინციის ქრონიკა

ბარცხანა. (ბათუმი). აქ ყოველ შაბათობით იმართება პარტიული კრება. დამფუძნებელ კრების შესახებ არჩეულია კომისია, რომელიც ეცდება არც ერთი კაცი არ გამორჩეს საარჩევნო სიიდან, არც ერთი ხმა არ დაეკარგოს ჩვენს პარტიას. ამხანაგები ფხიზლად ეკიდებიან პარტიულ საქმეებს. ბარცხანის ერთ-ერთ საზოგადო კრებას დაესწრო ბათუმის ქალაქის თავი ამხ. კ. საბახტარიშვილი—ადგილობრივი საჭირ-ბოროტო კითხვების გამოსარკვევად. ქალაქის თვითმართველობა პირველად ეცნობა განაპირა უბნების პროგრამას; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი თვითმართველობა შესაფერ ზრუნველობას გაუწევს ძველი რეჟიმის დროს მივიწყებულ კუთხეებს. ქალაქის თავმა მოისმინა ბარცხანის მცხოვრებთა საჭიროებანი და შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა. უმთავრესი კითხვები იყო: სკოლა, წყალი, სასურსათო დუქანი. აღძრულია შუამდგომლობა ბარცხანაში გაკეთდეს ბაქანი. სანამ ეს გაკეთდებოდეს, ბარცხანიდან ბათუმამდე ივლის ეგრეთ წოდებული მოწაფეთა ვაგონი, რომელიც დილით უფასოდ წაიყვანს მოწაფეებს სკოლაში სიარულს. საზოგადოებამ დაადგინა: კონსტ. გიორგაძე, როგორც საზოგადოების მავნე წევრი, გადასახლებულ იქნას ბარცხანიდან.

თიანეთის ადმ. კომისარიატმა სარუნ. კომიტეტში თავის წარმომადგენლებათ აირჩია: ექ. ალ. ხიდაშელი და [illegible].

— 18 ოქტომბერს თიანეთში მოვიდა კაზაკთა რაზმი [illegible].

ველისციხე (კახეთი). შიმშილობაა არა მარტო ველისციხეში, არამედ კახეთის სხვა ბევრ სოფლებშიც. არ იშოვება სრულებით გასაყიდი პური და თუ ვინმე იშოვის სადმე შემთხვევით, გირვანქაში მანეთს ართმევენ. არის პური ალაზნის გაღმა სოფლებში, მაგრამ რადგანაც მიზეზების გამო არ ყიდიან და თუ გაყიდიან „ხათრით“, ისიც რვა—ათ თუმნათ კოდს. (კოდს უდრის 8 ფ. 10 გირვანქ.) არ იშოვება აგრეთვე გასაყიდი სიმინდი და თუ იშოვება კოდი ოთხ ხუთ თუმნათ. როგორც გლეხებიდან გავიგე, ბევრი ბატონი სიმინდს ღორებისთვის ინახავს—ხალხს კი შიან. საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები ვისგანაც ჯერ არს.

ხ. ჯურუყვეთი. (გურია). 18 ოქტომბერს შესდგა მომრიგებელი კამერის წევრთა კრება ჯურუყვეთ-უბალაურის, ყელა-ზოდლეხურის და ჩიჩრეთ-გულიანის სადაო სკოლის შესახებ. კამერის წევრები შეიკრიბნენ სადავო ჯუმათში დილით და გადასწყვიტეს ცხენებით შემოევლოთ დასახელებული სოფლები, რაც სისრულეში მოიყვანეს. ჯურუყვეთში დახვდა მათ ხალხი თავმოყრილი ბლომათ, სადაც კამერის წევრებმა ილაპარაკეს. პირველათ ილაპარაკა კალე ლენტემ რევოლუციაზე და მის განვითარებაზე, შემდეგ გრიგოლ კოპალეიშვილმა—პარტიათა წარმოშობაზე, ამხ. ვარლ. კალანდარიშვილმა—დამფუძნებელ კრებაზე და სოსო მეფარიშვილმა—სწავლა-განათლების შესახებ, ვრცლათ შეეხო და დაახასიათა წარსული სკოლები თვითმპყრობელობის დროს და თვითმპყრობელობის გავლენა სკოლებზე, შეეხო მომავალ სკოლებს, თუ რა ნაირი უნდა დარჩენ მომავალი თავისუფალი სკოლები, რომლებმაც მიზნათ უნდა დაისახონ აღზრდა თავისუფალი მოქალაქისა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შემდეგ მან მოუწოდა ხალხს საერთო, ძმური კავშირისაკენ, რათა შეერთებული ძალით შექმნან ისეთი სკოლა, რომელსაც მტკიცე ნიადაგი ექნება და შეიძლებს ხალხი მის შენახვას. ამხ. მელქიშვილის მგრძნობიარე სიტყვამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. კამერამ სკოლის შესახებ ჯერ დადგენილება არ გამოიტანა.

თუში ალექსი ქააძე

ქისტების თავდასხმის დროს შატილის ხეობაში მსვლელად მოჰკლეს პირიქითი თუშეთის კომისარი, 55 წლის მოხუცი ალექსი ქააძე.

ალექსის ტრაგიკული სიკვდილი დიდ მწუხარებას იწვევს როგორც მთელ თუშეთში, ისე მის ნაცნობ-მეგობრებში.

განსვენებული საზოგადო მოღვაწე იყო, ხალხის საყვარელი, საქმის კაცი.

განმათავისუფლებელი მოძრაობის დღიდანვე მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ყოველგვარ მის საქმეებში. მოხუცი დაუზარებლათ, ხალისით მუშაობდა. ხელმძღვანელობას უწევდა გლეხკაცობას და მოელოდა ახალი ცხოვრების დამყარებას, მაგრამ ქისტებმა ის არ დაინდვეს და ვერაგულად გამოასალმეს წუთისოფელს.

მოგვაშორეს ძვირფასი ადამიანი. ის ამ ჟამად სადღაც ხევში განისვენებს ობლად...

მშვიდობით, უძვირფასო ალექსი, უდროოდ სიკვდილი შენი, ძვირფასო მოხუცო!

შენს შრომას და კაიკაცობას არ დაივიწყებენ შენი ამხანაგები და შენი სახელიც მათში სამუდამო იქნება.

ანანია.

სადღეისო წერილები

IV. სადავო კითხვები. რევოლუცია.

რევოლუციონურ და კონტრ-რევოლუციონურ ძალთა განხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ რუსეთის რევოლუციის თვისებები, რაც გამომდინარეობს რუსეთის ეკონომიურ განვითარების თავისებურობიდან.

კაპიტალისტის განვითარების განსაკუთრებულმა პირობებმა წარმოშვეს განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა რუსეთის პროლეტარიატის.

რუსეთში კაპიტალიზმი უცხო ფინანსიურ კაპიტალის სახით გაძლიერდა, ეს კი რუსეთის ბურჟუაზიას, როგორც რევოლუციონურ კლასს, მეტად ასუსტებს და მის მაგიერ რევოლუციის ხელმძღვანელად და ზავის პოლიტიკის მატარებლად პროლეტარიატი გამოდის. მისი როლი ქვეყნის მხსნელისა უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება, რადგანაც თვით ცხოვრების ულმობელმა ეკონომიურმა კანონებმა მისი პროგრამა მისაღები გახადა წვრილი ბურჟუაზიისათვის, ღარიბი გლეხობისათვის და ქალაქის და სოფლის წვრილ მესაკუთრეთათვის. ომის ხარჯების მილიონერებზე დაკისრება, ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება, მიწა და ზავი,—აი შეერთებული ძალა პროლეტარიატის და წვრილი ბურჟუაზიისა. ასეთი პროგრამა ცენზიან ბურჟუაზიას არ აქვს და ამით ის კარგავს თავის მნიშვნელობას რევოლუციისათვის.

რუსეთის რევოლუცია არ არის რომელიმე კლასის, ან ჯგუფის საქმე. ის საერთო დემოკრატიული ხასიათისაა. რევოლუციას არ შეუძლია დაანგრიოს კაპიტალისტური წესწყობილება რუსეთის ტერიტორიის საზღვრებში. ის მხოლოდ გვაახლოვებს სოციალიზმთან, რომელსაც შეიძლება წინ უძღოდეს კაპიტალიზმის განვითარების ისეთი ხანა, სადაც კერძო მეურნეული კაპიტალიზმი გზას დაუ-

თომის სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს, ე. ი. თვით სახელმწიფოს გამოსვლას მწარმოებლის როლში.

ამ სისტემამ ბურჟუაზიულ წესწყობილების ჩარჩოებში შესაძლებელია გამოიწვიოს სასტიკი გაძლიერება იმპერიალისტური ჯგუფების და ბრძოლა მათი ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც დღეს სამხედრო დარბევის შიშის გამო ჩუმათ წარმოებს, აშკარათ შეიქნება საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ ზავის ჩამოგდების შემდეგ.

ამ დებულებებიდან ჩვენთვის აშკარაა შემდეგი მორიგი კითხვები რევოლიუციისა.

ა. ეკონომიურ დარგში.

ევროპაში საერთო განადგურების შიშმა აიძულა სახელმწიფონი წარმოებაში ჩარეულიყვნენ და კერძო ინიციატივისა და თავისუფალ წარმოებისათვის დაეპირდაპირებიათ საზოგადოებრივი საჭიროებანი. ამან გამოიწვია წარმოების თვითეულ დარგის სინდიკატებში ძალდატანებით, სახელმწიფო ძალის შემწეობით, გაერთიანება და მთელი წარმოების ერთიანათ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დაყენება. თუ დასავლეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია განადგურების შიშმა აიძულა ამ ზომებს შერიგებოდა,—რუსეთის ბურჟუაზია, სამხედრო მოგებით და სპეკულიაციით გასუქებული, ამ ზომების სასტიკ მოწინააღმდეგეთ გამოვიდა. რაკი ამ ზომების მიღებაზე დამოკიდებულია რევოლიუციის ბედი, რაკი უამისოთ ეკონომიური არევ-დარევა და სიძვირე აუცილებელია, რაიც ხალხს გულს გაუტეხს რევოლიუციაზე და მის მიერ წარმოშობილ ორგანოებზე და ამით ნიადაგს მოუმზადებს პოლიტიკურ კონტრ რევოლიუციას, ამიტომ მუშათა კლასმა ყოველი ზომები უნდა მიიღოს, რომ ეს მოთხოვნილებები ცხოვრებაში გატარდეს. მისი მთავარი მოთხოვნილება იქნება: წარმოების, მიწოდების და განაწილების ორგანიზაცია, რომლის ხასიათში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ წარმოებაზე დემოკრატიულ სახელმწიფოს მიერ კონტროლის დაწესებით.

ჯერ-ჯერობით ჩვენ ვხედავთ შემდეგს: ამ წლის პირველ მარტიდან პირველ აგვისტომდე დახურულა 568 საწარმოო დაწესებულება, სადაც 104 000-ზე მეტი მუშა ითვლებოდა. ეს დაწესებულებანი კატეგორიებათ ნაწილდებოდნენ ამნაირათ: ლითონის დამმუშავებელი 91 წარმოება, ბამბის—49, სასურსათო—196.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რატომ იკეტება ამდენი წარმოება? ოფიციალური მოტივები ან წარმოებათა შეჩერების შემდეგია: 286—ნედლი მასალის უქონლობა, 81—სათბობის, 16—საჭირო მუშა-ხელის ნაკლებობა, 47—ნაკლებობა შეკვეთის და ბაზრის მოთხოვნის, 17—მუშათა წასვლა სოფლის სამუშაოზე, 49—გადამეტებული მოთხოვნილების წაყენება მუშების მხრივ, 8—უთანხმოებანი მუშებსა და მწარმოებლებს შორის, 22—ზარალი და ფინანსიური დაბრკოლებანი და 4—პატრონების ჯარში გაწვევა. დროის მიხედვით წარმოების შეჩერება ნაწილდებოდა ამნაირათ: მარტში დახურულა 74 საწარმოო დაწესებულება, აპრილში—55, მაისში—108, ივნისში—125, ივლისში—206 *). აი კიდევ დონის რაიონი, რომელიც აძლევდა თითქმის მთელი რუსეთისათვის საჭირო ქვანახშირს; დღეს იქ დამუშავებული ქვა-ნახშირის რაოდენობა თანდათან კლებულობს და იქამდე მივიდა, რომ არსებული მცირე გადასაზიდავი საშუალებანი ხშირათ უსარგებლოთ რჩება.

იმ დროს, როდესაც საშუალო ქვანახშირს ამუშავებდენ დონის რაიონში თვეში 170 მილიარდ ფუთს,—უკანასკნელ თვეებში მისი დამუშავება ჩამოვიდა 114—112 მილ. ფუთამდე. დაზოგილი ქვა-ნახშირის რაოდენობა („ზაპასები“) კლებულობს და 180 მილ. ფუთიდან უკვე 70 მილ. ფუთამდის ჩამოვიდა. ნავთის მიღების იმედები ნაკლებია.

ასე რომ ჩვენ ვდგევართ შემდეგი სინამდვილის წინაშე: რკინის გზებზე მოძრაობის შემოკლება, სამგზავრო მატარებლების თითქმის გაუქმება, ლითონის წარმოების შემცირება, საფეიქრო (საქსოვ) წარმოების შეჩერება. რა მოელის დიდს ქალაქებს? განათების შემცირება, სახლებში სიცივე რადგანაც ისედაც გადაწყვეტილი იყო სითბო 7° არ გაცილებოდა, მაგრამ ამ „სითბოსაც“ უნდა გამოეთხოვონ ჩრდილოეთის დიდი ქალაქები წინდებულ ზამთარში, ბინებში და დაწესებულებებში სითბოს რაოდენობა არ ასცილდება 2 გრადუსს.

საწარმოო დაწესებულებანი თითო თითო იკეტება და ჩვენ დაგვიანებით ვიგებთ ნამდვილ მიზეზებს, რომლებსაც შველა ძნელია. მწარმოებლები ხშირად ხელოვნურად ქმნიან ამ არევ დარევას პოლიტიკური მოსაზრებით. დონეცის რაიონში ნაყოფიერობის დაცემაში არაა რევოლიუცია დამნაშავე, არამედ თვით მწარმოებლები. დონეცის რაიონში ესაჭიროებოდა დასამზადებელ სამუშაოთა ფართე წარმოება, მაგრამ მწარმოებლებმა იმ მოსაზრებით, რომ რაც უფრო ნაკლები იქნება ქვა-ნახშირი, მით უფრო დიდი იქნება მასზე ფასები, ასეთი სამუშაოები აღარ შესწყვიტეს და დღეს ჩვენ ამის ნაყოფი თვალწინ გვაქვს. ახლა კი მწარმოებლები მუშაობის განახლებაზე უარს აცხადებენ, რადგანაც ეს დღევანდელ ხელფასის სიძვირის დროს დიდს ხარჯს გამოიწვევდა მათი აზრით და ნაყოფს კი მოგვცემდა წლობით 1½—2 წლის შემდეგ, როცა ქვა-ნახშირის ფასი საგრძნობლად დაიკლებს.

ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება კვდება თანდათანობით და ეს პირველ ყოვლისა დაასამარებს რევოლიუციის შენაძენს. დღეს გვეკამათებიან ჩვენ უმთავრესათ ბურჟუაზიის ბანაკიდან და სახელმწიფო კონტროლს უპირდაპირებენ ვაჭრობის თავისუფლების დაცვას, ვაჭრების და მწარმოებლების კერძო ინიციატივისთვის ხელის შეწყობას, ე. ი. ისეთ საშუალებებს, რომლებმაც ქვეყნის ეკონომიური განადგურებამდე მიგვიყვანა.

მართალია, ჩვენ ვგრძნობთ კონტროლის დაწესების ზომების სიძნელეს. მართლაც განა შესაძლებელია ყველა პატარა წარმოებაში კონტროლის დაწესება? მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფომ ისინი ძალით სინდიკატებში უნდა გააერთიანოს. დიდი წარმოება გადაფართოვდება პატარას ხარჯზე. ეს პირველ ხანებში გამოიწვევს უკმაყოფილებას მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილებში, მაგრამ განადგურების თავიდან ასაცილებლათ დროებით შევიწროებებს კიდეც უნდა შეურიგდეს მუშათა კლასი. კონტროლის გატარებას ჩვენში ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ბანკების ფინანსიური დახმარება მომეტებულათ ნაწილდება წარმოების დარგებათ. მანუფაქტურის დარგს ეს და ეს ბანკი უწევს დახმარებას, სალითონო წარმოებას მეორე ბანკი და სხ.

აქედან საჭიროა ბანკებზედაც კონტროლის დაწესება, რადგანაც უკანასკნელთა როლი წარმოებაში დიდია. საჭიროა ყველა ბანკების სახელმწიფო ბანკების კონტროლისათვის დამორჩილება. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ არა ნაკლებ დაბრკოლებას წარმოების ორგანიზაციაში: ბანკების სპეკულიაციას.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ბოლშევიკების მოთხოვნილების ეგრედ წოდებულ მუშათა კონტროლის შესახებ წარმოებაში. ეს იქნებოდა ისეთი სისტემა, როდესაც თვითეული საქარხნო კომიტეტი გამოვიდოდა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებლათ. და განა ეცოდინება ივანოვო-ვოზნესენსკის საქარხნო კომიტეტს, რა არის საჭირო მთელი რუსეთისათვის? მუშათა კონტროლს მოყვებოდა შედეგათ ტეხნიკური პერსონალის გაქცევა და წარმოების სათავეში უცოდინარი პირების მოქცევით ეკონომიური არევ-დარევის გართულება.

საჭიროა მთელი რუსეთისათვის ერთნაირი გეგმის შემუშავება და ამისდა მიხედვით მთელს სივრცეზე წარმოების მოწესრიგება.

სურსათის საკითხშიაც საჭიროა ისეთივე რადიკალური ზომების მიღება, როგორც წარმოებაში. აქაც დემოკრატიულ ცენტრალიზმის პრინციპზე უნდა აგებულ იქნეს მოქმედება. გადაჭრილ ფასების შემოღება, ბარათების სისტემა, რეკვიზიციები და სხვა მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ გამოსწორებული იქნება მოქმედების საერთო გეგმა.

ფინანსიური მხარეც არა ნაკლებ საყურადღებოა და აქაც გადამჭრელი ზომებია მისაღები. აქამდე არსებული სხვადასხვა ფერის მთავრობები და ახლანდელიც ომის ხარჯებს ფარავდნენ უმთავრესათ ქაღალდის ფულის გამოშვებით, რაც სიძვირეს უფრო აძლიერებს. სახელმწიფო ბანკის მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულის რაოდენობა პირველ სექტემბრისათვის უდრიდა 15 მილიარდ მანეთს, ესე იგი მშვიდობიან დროსთან შედარებით 6 ჯერ მეტს. რომელმა ხალხის მეურნეობამ უნდა გაუძლოს ასეთი ქაღალდის ფულის ნიაღვარს? 14 აგვისტოს დეკლარაციაში მოთხოვნაა წაყენებული, რომ ომის ხარჯები დაიფაროს შეძლებულ კლასების ძალღონით და ამ მხრით პირველ რიგში დგას ერთ-დროული მაღალი ქონებრივი გადასახადი, შემდეგ სამხედრო მოგებათა კონფისკაცია 10 პროცენტზე მეტის და სხ.

